კლასიკური ჩინური სამხედრო სტრატეგიების პროექცია პოლიტიკასა და კორპორატიულ ურთიერთობებში-შემთხვევათა ანალიზი

შალვა ჩიხლაძე
ჩინეთის კვლევების კავკასიური ასოციაციის პრეზიდენტი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი.
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, #1
+995 558 36 53 31. Shalva.chikhladze@tsu.ge
https://orcid.org/0000-0001-8265-7847

აბსტრაქტი

კლასიკური ჩინური სტრატეგიები მსოფლიო ფილოსოფიური და ლიტერატურული აზროვნების განუყოფელი და ღირებული მემკვიდრეობაა და შესანიშნავად აღწერს ერთ-ერთი ყველაზე ძველი და უწყვეტი ცივილიზაციის სამხედრო, პოლიტიკური და დიპლომატიური აზრის გრადაციის პერიპეტიებს. შინაარსობრივი მრავალფეროვნებისა და უნივერსალურობიდან გამომდინარე სტატიაში გაანალიზებულია ოთხი კლასიკური სტრატეგიის: ომის ხელოვნება, 36 ხრიკი, სიმას მეთოდები და 6 საიდუმლო სტრატეგიული სწავლება და მათი გამოყენება თანამედროვე ჩინურ პოლიტიკურ და კორპორატიულ ურთიერთობებში. შემთხვევათა ანალიზი დაფუძნებულია ხსენებული ოთხი ტექსტის კონკრეტული სტრატაგემების პრაქტიკულ-შინაარსობრივ კვლევასა და მათ ადაპტაციაზე თანამედროვე ჩინურ პოლიტიკურ და კორპორატიულ ურთიერთობებში. საკითხის ამ პრიზმიდან გაშუქება ქართული აკადემიური სივრცისთვის წარმოა-

დგენს სრულ სიახლეს და კიდევ ერთხელ ადასტურებს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თანამედროვე ჩინურ ბიზნეს თუ გეოპოლიტიკური სტრატეგიის ფორმირების პროცესში ტრადიციული ფილოსოფიური აზრი და მათი თანამედროვე ინტერპრეტაცია. შემთხვევათა ანალიზი მოიცავს ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში გლობალურ პროცესებში ჩინურ კორპორატიულ და პოლიტიკური მანევრების ხსენებული პრიზმიდან კვლევასა და მიზნად ისახავს კლასიკურ სტრატეგიებთან მათი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ჩვენებას.

საკვანძო სიტყვები: ომის ხელოვნება; 36 ხრიკი; სიმას მეთოდები; 6 საიდუმლო სწავლება; ჩინური კლასიკური სტრატეგიები.

შესავალი

მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა ჩინური ცივილიზაციის ერთ-ერთ უნიკალური მახასიათებელია, რომელიც უწყვეტი არსებობის რამდენიმე ათასწლეულს მოიცავს. საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი უზარმაზარი ცოდნა დღეს კლასიკად არის ქცეული და გამორჩეული ადგილი უჭირავს მსოფლიო ლიტერატურულ საგანძურში. ჩანაწერებს ისტორიული ქრონიკების სახით, პოეტურ კრებულებს, ფილოსოფიურ და რელიგიურ ტექსტებს ამდიდრებს შვიდი კლასიკური სამხედრო სტრატეგიული სწავლება, რომლის ანალოგიც რთულად მოიძებნება სხვა ძველი ცივილიზაციების ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. შვიდი კლასიკური ჩინური სტრატეგიების, იგივე- 武经七书-wu jing qi shu ერთად შეკრება სუნგის დინასტიის[78] იმპერატორს შენწონგს[79] მიეწერება, როდესაც მან მოკრიბა სხვადასხვა ტექსტები ერთად და ის შეატანინა სუნგის დინასტიის ისტორიულ ქრონიკებში, ასევე სამოხელეო და სამხედრო საქმის სახელმწიფო გამოცდების პროგრამებშიც (Sawyer, 1993). გარდა შვიდი კლას-

[78] 宋朝-Song Chao-960-1279
[79] 神宗-shen zong

იკური სამხედრო ტრაქტატისა, ასევე უმნიშვნელოვანესი ტექსტებია “36 ხრიკი” და “ექვსი საიდუმლო სწავლება”, რომლებიც კიდევ უფრო ამდიდრებენ ზემოთხსენებულ ტექსტებს. ზოგადად ჩინური კლასიკური ტექსტები ტექსტი მოიცავს სამხედრ-პოლიტიკურ და მმართველობით რჩევებსა და რეკომენდაციებს, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და დღეს მათი უნიკალური, უნივერსალური პრიზმიდან სამაგიდო წიგნს წარმოადგენს მსოფლიოს სხვადასხვა სამხედრო აკადემიისა და სტრატეგიების შემსწავლელი კურსანტებისთვის.

ჩინური კლასიკური სტრატეგიების მოცულობისა და რთული, კომპლექსური ფილოსოფიური ღირებულებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მათი ერთ სტატიაში განხილვა, შესაბამისად საკვლევ ტექსტად აღებულია ოთხი ნაწარმოების ის მონაკვეთები, რომელიც რელევანტურია თანამედროვე ჩინური პოლიტიკურ და კორპორატიული ურთიერთობების გასააზრებლად. შესაბამისად, აღნიშნული კვლევა აანალიზებს შემდეგ ოთხ კლასიკურ სტრატეგიას:

- ომის ხელოვნება-სუნ ძი
- 36 ხრიკი
- 6 საიდუმლო სტრატეგიული სწავლება-ძიანგ წიია
- სიმას მეთოდები-სიმა ჟანგძუ

ღია და არაკლასიფიცირებულ წყაროებზე დაყრდნობით ირკვევა რომ თანამედროვე ჩინური განათლების სისტემა და პოლიტიკური გადაწყვეტის მიმღები პირები აქტიურად სწავლობენ, აანალიზებენ და პრაქტიკაში იყენებენ საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილ ცოდნასა და მეთოდიკასა სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებისას (Liu, 2024). შესაბამისად კონკრეტულ სტრატაგემებზე რელევანტური შემთხვევის მოძებნა უპრიანი და აქტუალურია ქართული საზოგადოებისთვის, რომელიც არც თუ ახლოს იცნობს აღნიშნულ საკითხს. სტატია შინაარსობრივად აანალიზებს ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ჩინური პოლიტიკური და კორპორატიული კულტურისა და მიდგომების შემთხვევებს და აკავშირებს მათ ხსენებული

კლასიკური ტექსტების კონკრეტულ სტრატაგემებთან, რაც კრეატიული მიდგომაა, თუმცა შეუძლებელია მიდგომის ზუსტი ემპირიული კანონზომიერების დადგენა და ღიაა ინტერპრეტაციისთვის.

მეთოდი

კვლევის პროცესში ძირითადად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, სადაც გაანალიზებულია პირველადი და მეორეული წყაროები და მისადაგებულია კონკრეტულ შემთხვევებს შინაარსობრივი კავშირიდან გამომდინარე. ამასთან ერთად ადაპტირებულია თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეები, რომელთა დახმარებით მოხდა კლასიფიცირება თუ რამდენად ხშირად და აქტიურად იყენებენ თანამედროვე ჩინელი გადაწყვეტილების მიმღები პირები მათ საჯარო გამოსვლებში კლასიკურ ავტორებსა და მათ ფილოსოფიურ აზრს. ხოლო, რელევანტურობის დადგენა მოხდა იმ შინაარსობრივი მოცემულობიდან გამომდინარე რაც კონკრეტულ სტრატაგემასა და მის შესაბამის მოვლენას ახასიათებთ.

შედეგები

კვლევის შედეგად კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ფაქტი რომ თანამედროვე ჩინურ პოლიტიკურ და კორპორატიულ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიურად სწავლობენ, აანალიზებენ და აინტეგრირებენ კლასიკურ ჩინურ სტრატეგიბსა და იმ უნივერსალურ ცოდნას, რაც საუკუნეებმა გამოსცდა და ჩვენამდე მოიტანა. კონკრეტული შემთხვევები გლობალურ ბაზარზე კორპორატიული მიდგომებისა, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ კომპლექსურ და გრძელვადიან მიდგომებს რაც ჩინურ საზოგადოებას ახასიათებს და რაც ესოდენ რთული გასაგებია არა მარტო ქართული არამედ საერთაშორისო საზოგადოებისთვის. ამასთან, კვლევის მიგნებები ხაზს უსვამს აღნიშნული თემატიკის უფრო სიღრმისეულ შესწავლის აუცილებლობას და ქართული საზოგადოებისთვის გაცნობას, რათა სამომავლოდ გეოპოლიტიკურ ტურბულენტობაში უფრო მომზადებული ვიყოთ.

დისკუსია

ომის ხელოვნება-ყველაზე ცნობილი ჩინური სტრატეგიაა, რომელიც ძვ.წ მეხუთე საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი სუნ ძის[80] მიერ. ისტორიული ნარკვევების მიხედვით სუნ ძი მოღვაწეობდა სამეფო "უ-ს" კარზე, თუმცა მისი რეალურ პიროვნებად არსებობის საკითხი ჯერ კიდევ დავის საგანია მკვლევრებს შორის, თუმცა ის ჩინელ და უცხოელ ისტორიკოსებს შორის შეთანხმების საგანია "ომის ხელოვნების" უნივერსალურობას ეხება *(Liu, 2012) იმ მიგნებებს რაც უკვე 2500 წელია ერთნაირი პრაქტიკული წარმატებით შეიძლება გამოიყენოს როგორც შუა საუკუნეების სარდალმა, ასევე თანამედროვე პოლიტიკოსმა თუ კორპორაციის მენეჯერმა (Wu, 1996:115).

კვლევის პროცესში გაანალიზებულია სუნ ძის "ომის ხელოვნების" ქართული თარგმანი: ძველი ჩინურიდან (თარგმნილი სინოლოგ ზურაბ მამნიაშვილის მიერ).

პირველ თავში სუნ ძი გათვლასა და დაგეგმარებაზე საუბრობს: "*ომი მუდამ ფლიდობის გზაა, ამიტომ თუ რამე ძალგიძს, თუ რამეს აპირებ, დააჯერე რომ არ აპირებ, თუ უახლოვდები, აფიქრებინე რომ შორდები, თუ შორდები დაარწმუნე რომ უახლოვდები, თუ მტერი რამეს დახარბებია გაიტყუე იმავ სარგებლით, თუ არეულობას მოუცავს-მყის დაასწარ და იხელთე, თუ ძალით სავსეა ჯერ მოუფრთხილდი, თუ ჯარით მძლავრობს ჯერ მოერიდე, თუ რისხვას მოუცავს-გააშმაგე, თუ რიდიანობს გაადიდგულე, თუ დასვენებულია დაქანცე, თუ თანხმობა აქვს -გათიშე, დაჰკარ იქ სადაც არ ელის. აი, ჭეშმარიტი ოსტატობა სარდლის"* (სუნ ძი, 2023:16). აღნიშნული სტრატეგია ხაზს უსვამს სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას საბრძოლო პროცესებამდე, მისთვის მნიშვნელოვანია არა უბრალოდ გამარჯვება არამედ გამარჯვება ეფექტური გზით-ფსიქოლოგიური და ირიბი მეთოდებით. ზემოთხსენებულ სტრატეგიაზე დაკვირვებით და მის თანამედროვე კონტექსტში გადმოტანით შეიძლება განხილვა ერთი

[80] ჩინურ-ქართული ტრანსლიტერაციის მიხედვით სუნ წი, თუმცა ქართულ სალიტერატურო სივრცეში დამკვიდრების გამო უცვლელად ვტოვებთ.

ჩინეთის პოლიტიკის და კონტინენტური ჩინეთის სტრატეგიის აღადგინო/გაავრცელოს პეკინის იურისდიქცია კუნძულ თაივანზე, რომელიც ჩინეთის რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ აცხადებს თავს. თუმცა აღნიშნული გეგმის სისრულეში მოსაყვანად ის არ იყენებს პირდაპირ, სამხედრო მეთოდებს (თუმცა ხაზს უსვამს რომ გარკვეული პირობების არსებობის პირობებში ამ მეთოდსაც არ მოერიდება) თაივანთან მიმართებით ერთმანეთთან უნისონში მოქმედებს როგორც ისტორიული მეხსიერების ფაქტორი (Xi,2019) ასევე ეკონომიკური-კულტურული ურთიერდაკავშირებულობა, რომელიც წლიდან წლამდე იზრდება, ამ ყველაფერთან ერთად პერიოდულად სამხედრო კომპონენტის გააქტიურებაც გამოიყენება, მათ შორის წვრთნების ჩატარება კუნძულის ირგვლივ, რომელიც ქმნის ბლოკადის ან სამომავლო კუნძულის დასაკავებლად ჩასატარებელი ღონისძიებების მოლოდინს (Mahadzir, 2025).

მეორე თავი ეხება საომრად დაძვრის（作战）ხელოვნებას და იმ სტრატეგიულ რჩევებს, რაც უცხო ქვეყანაში წარგზავნილი ჯარის მეთაურმა უნდა გაიაზროს. ხსენებულ ნაწილში საინტერესოა რესურსების დაზოგვის პოლიტიკა, რაზეც სუნ ძი წერს: "*ლაშქრობები აღარიბებს სახელმწიფოებს, რადგან ომი ყოველთვის მოითხოვს ჯარისთვის სურსათის შორ გზაზე ზიდვას. ჯარის შენახვა და შორ გზებზე მომარაგება აღატაკებს ქვეყნის მოსახლეობას. ჯარის ბანაკთან ახლოს მცხოვრებნი კი ყველაფერს ხუთჯერ ძვირად ყიდიან, ქვეყნის ხაზინა ცარიელდება და ბეგარა ხალხს აცარიელებს. სახელმწიფო შემოსავლის ექვსი მეათედი ხმარდება გატეხილ ურმებსა და დაუძლურებულ ცხენებს, აბჯარ-ჩაჩქნებისა და შუბების აღდგენასა და გაკეთებას. ამიტომ, ბრძენი სარდალი ყოველთვის ცდილობს იკვებოს მტრის ხარჯზე, რადგან მოწინააღმდეგისთვის წართმეული ჭუნგი (640 ლიტრა) უდრის ოცი ჭუნგის დაზოგვას საკუთარი მარაგიდან, მტრის მიწაზე ნაშოვნი ტანი (100 ლიტრა) ალაფი უდრის ოცი ტანის დაზოგვას სახლში"*(სუნ ძი, 2023:19). ამ კონკრეტულ მონაკვეთში ბუნებრივია ავტორი უშუალოდ სამხედრო კამპანიაზე

საუბრობს, თუმცა კონტექსტის ფართო პრიზმაში გაანალიზების შემდგომ დავინახავთ რომ თანამედროვე ჩინური გარემოს დაცვითი და ინდუსტრიული პოლიტიკა გარკვეულწილად ესადაგება ამ სტრატაგემას. სახელდობრ, ბოლო წლებში მიუხედავად ქვეყნის მზარდი ინდუსტრიული განვითარებისა, მწვანე საფარის რიცხვი ეროვნულ დონეზე მზარდია, რაც გეგმაზომიერი მწვანე პოლიტიკის შედეგია. სხვადასხვა რეგიონალური და რესპუბლიკური მასშტაბის გატყიანების და გარემოს დაცვითმა პოლიტიკამ საბოლოო ჯამში მკვეთრად გაზარდა მწვანე საფარის ფართობი, მათ შორის აზიური უდიდესი უდაბნოების მომიჯნავე რეგიონებში კი (Wei, Liu & etc, 2024). ამავდროულად ლოგიკურია კითხვა დაისვას, მაშინ საიდან მოდის ხე-ტყის ის რესურსი რაც მსოფლიოს მოწინავე მანუფაქტურულ ძალას სჭირდება? Forest Trends-ის გამოკვლევით ბოლო 15 წლის განმავლობაში საგრძნობლად მოიმატა იმპორტირებული ხე-ტყის მასალამ ჩინეთის ტერიტორიაზე, შემომტანი ქვეყნები მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც რუსეთის ციმბირის ტერიტორიებს, ასევე აღმოსავლეთ ევროპას, სამხ-აღმოსავლეთ აზიას, ტროპიკულ აფრიკასა და ამერიკის ორივე კონტინენტს. აღნიშნული მაგალითი კარგად აჩვენებს ომის ხელოვნების მეორე თავის უნივერსალურობასა და აქტუალურობას თანამედროვე პროცესებში.

ომის ხელოვნების მესამე თავი ეხება შეტევის ოსტატობას, კერძოდ: *„მიტომ, ასჯერ ბრძოლაში ასჯერვე გამარჯვება არ ნიშნავს უმაღლეს ოსტატობას ოსტატობათა შორის, უმაღლესი ოსტატობა ოსტატობათა შორის ნიშნავს მტრის ჯარის დამორჩილებას ბრძოლის გარეშე, ამიტომ ომის ყველაზე კარგი ხერხია მტრის სამარი გეგმების ჩაშლა, მომდევნოა-სხვებთან მისი კავშირის მოშლა, შემდეგია-ბრძოლით მისი ჯარის მოსპობა, ბოლო და ყველაზე უარესია-მტრის ქალაქების ალყით აღება”* - ამავე ნაწილში სუნ ძი საუბრობს მოწინააღმდეგის შესაძლებლობებისა და რესურსების შეფასებაზე, კერძოდ თუ იცი შენი და მოწინააღმდეგის შესაძლებლობები მაშინ დიდი შანსია გაიმარჯვო, თუ მხოლოდ შენი შესაძლებლობა იცი ხოლო მოწინააღმდეგის არა,

მაშინ შანსი მცირდება, ხოლო თუ არც შენი შესაძლებლობა იცი და არც მოწინააღმდეგის, მაშინ უპირობოდ განწირული ხარ მარცხისკენ. ხსენებული სტარატაგემა ნათლად აჩვენებს რომ ომის ხელოვნების ავტორი უმაღლეს ოსტატობად მიიჩნევს ომის მოგებას პირდაპირი კონფრონტაციის გარეშე, ხოლო მოგებას ალყისა და დიდი მსხვერპლის შედეგად ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს (სუნ ძი, 2023:26) თანამედროვე კორპორატიულ კონტექტსში გადმოტანისას უცილობლოდ ყურადსაღებია ისეთი დიდი სატელეკომუნიკაციო ბრენდების როგორებიცაა სიაომი და ხუავეი (მოგვიანებით უკვე ელექტრო მანქანებიც) ნელი და ჩუმი გამოჩენა განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე, იაფ სეგმენტზე ფოკუსირება და შემდგომ შემოტანა მაღალი ხარისხისა და ფასის პროდუქტის, რომელიც პირდაპირი კონკურენტი გახდა აიფონის, სამსუნგისა და სხვა სმარტფონების (Acelingo. (n.d). ხოლო, იდენტური ხაზი შეიძლება განვავითაროდ იშვიათი მინერალების შესახებ ჩინურ სტრატეგიაზე, როდესაც 21-ე საუკუნის მესამე ათწლეულში აღმოჩნდა რომ მიწოდების ჯაჭვში სრულად დომინირებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (Karve International, 2024) ისე რომ ამისთვის არც რაიმე ტიპის გლობალური კონფლიქტი დასჭირვებია და არც სხვა ტიპის ძალისმიერი მეთოდი, მით უფრო რომ მინერალების მთელი ნაირსახეობა ჩინეთის გარეთ-სხვადასხვა კონტინენტებზე მოიპოვებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ შეერთებულ შტატებსა და უკრაინას შორის ბოლო დროინდელ აქტუალური საკითხი მინერალების შესახებ გარკვეულწილად ბმაშია იმ ფაქტთან რომ შტატები ცდილობს ეროვნული უსაფრთხოების იმ გამოწვევას გაუმკლავდეს, რაც ჩინეთის მონოპოლიამ შექმნა ხსენებულ ინდუსტრიაში (Levimnt, 2024).

ომის ხელოვნების მესამე თავში ავტორი ასევე საუბრობს სარდლის/მმართველის უნარიანობას და მის სიძლიერეზე: "*ამადაა რომ სარდალი და თავისი ქვეყნის საყრდენი ბურჯია, თუ ბურჯი მრთელია და მყარად დგას-ქვეყანა ძლიერია, თუ ბურჯი დაბზარულია და ირყევა-ქვეყანა სუსტია"* (სუნ ძი, 2023:24). მიუ-

ხედავად იმისა რომ ჩინეთი პარტია-სახელმწიფოა, სადაც ხელისუფლების რეკრუტირების წყარო ძირითადად ერთი პოლიტიკური ორგანიზაციაა-CCP, უშუალოდ მმართველ პოლიტიკურ გუნდში არსებობს საკმაოდ მკაცრი მერიტოკრატიული სისტემა და ნიჭიერი კადრების მოზიდვის სხვადასხვა მეთოდიკა (CGTN, 2019). ამ საკითხის მნიშვნელობას ადასტურებს გენერალური მდივნის საგანგებო მიმართვაც, რომელიც ხაზს უსვამს ტალანტებისა და კვლაიფიციური კადრების მოზიდვასა და შესაძლებლობების მიცემას როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სექტორშიც (The State Council of the People's Republic of China, 2021).

თავი მეხუთე “势 shi” -ამ თავში სუნ ძი საუბრობს იმ ფანდებსა და სტრატეგიულ მოთმინებაზე, რომლის კარგად გააზრების შემდეგ შესაძლებელია ჯარის ისე მართვა რომ უპირობო გამარჯვება დადგეს, სახელდობრ: აუცილებელია ჯარის პირდაპირი და ირიბი (ტყუილი) სვლები ისე რომ დააბნიო მოწინააღმდეგე. ჯარის მანევრირებით და სწორი პოზიციის შერჩევით უნდა მიაღწიო ისეთ ტაქტიკურ უპირატესობას რომ შენი მეომრების შეტევა მტერზე დაემსგავსოს მთიდან დაშვებული უზარმაზარი ლოდების სრბოლას. საჭირო დროსა და საჭირო ადგილას შეტევა ჩინური გლობალური კორპორატიული კულტურის ერთ-ერთი ნიშანსვეტია, მაგალითისთვის საინტერესოა ტიკტოკის მსოფლიო გასართობ ბაზარზე გამოჩენა: Tiktok (Douyin) -ის გაშვება ისეთ დროსა და ისეთ პერიოდში მოხდა რომ მან წალეკა მთელი ახალგაზრდული ბაზარი, განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნები და გახდა ერთ-ერთი ლიდერი ამ სფეროში (Karimi & Fox, 2023). კულტურული გავლენა ისეთი დიდია რომ თვით შეერთებული შტატებიც კი იძულებული იყო უკან დაეხია მის აკრძალვაზე, ხოლო რუმინეთის არჩევნების შედეგებზე ტიკ ტოკზე წარმოებულმა საარჩევნო კამპანიამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ამომრჩევლის (განსაკუთრებით ახალგაზრდების) ელექტორალურ ქცევაზე (Reuters, 2025).

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ომის ხელოვნებაში ინფორმაციისა და დაზვერვის მნიშვნელობას, რომელიც უმნიშვნ-

ელოვანესი კომპონენტია წარმატების მისაღწევად, რასაც სუნ ძი შემდეგნაირად ხსნის: *„ამიტომ, კარგად განჭვრიტე მტრის ზრახვანი, რომ შეაფასო მისი გეგმების ავი და კარგი; გამოიწვიე ის, რომ გაუგო საბრძოლო წყობა და ქმედების წესი; აცდუნე იგი რათა მიაგნო მის ყველაზე სუსტ და ძლიერ ადგილს; შეერკინე მას, რათა მოსინჯო, სად ჰყავს ჭარბი და სად ნაკლები ძალები”*- ბუნებრივია როგორც ყველა დიდი სახელწმიფო ჩინეთიც იყენებს საკუთარ საინფორმაციო ქსელებს, მათ შორის დიასპორას, ეკონომიკურ კავშირებსა და პარტნიორებს, რათა ზუსტად იცოდეს სამიზნე ქვეყანა (არ იგულისხმება სამხედრო თვალსაზრისით) და იქაური ბიზნეს სექტორი რა მიმართულებით ვითარდება, რა არის მათი სურვილები, მოთხოვნები, რა ტიპის საწარმოო შესაძლებლობები აქვს, არის თუ არა საჭიროება და შესაძლებლობა იმპორტის, ინვესტიციის ან თუნდაც მინერალების მოპოვების და ა.შ სწორედ ხსენებული ტიპის ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ ხდება დაგეგმვა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების, მათ შორის ინვესტიციის, იმპორტის და ა.შ, დიასპორას კი როგორც ღია წყაროებისა და საკანონმდებლო აქტების ანალიზის შედეგად ვიგებთ, ამ ყველაფერში საგულისხმო როლი აქვს დიასპორას (Pubrick, 2023).

ომის ხელოვნების მერვე თავში სუნ ძი საუბრობს ადაპტაციის უნარსა და იმ ნაკლზე რამაც მეთაურს შეიძლება ომი წააგებინოს: *„ამიტომ ხუთმა დიდმა ნაკლმა შეიძლება ავნოს ჯარის სარდალს; უგნურად მამაცს-ადვილად მოჰკლავენ, სიცოცხლის მოტრფიალეს-ადვილად დაატყვევებენ, უზომოდ ფიცხს-ადვილად გააბრიყვებენ, მეტისმეტად სპეტაკს-ადვილად შებღალავენ, ხალხზე გადაგებულს-ადვილად გააწამებენ”*(სუნ ძი, 2023: 54). 1978 წლიდან მოყოლებული ჩინეთის საგარეო პოლიტიკა პირველი რამდენიმე ათწლეული ეფუძნებოდა “ინერტული პოლიტიკის” სტრატეგიას - სტრატეგიის მიხედვით ქვეყანა ორიენტირებული უნდა ყოფილიყო სოციო-ეკონომიკურ ტრანსფორმაციაზე და ნაკლებად ჩართულიყო გეოპოლიტიკურ ბატალიებში, მთელი წლები მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტებსა და

ტურბულენტურ მოვლენებში, ჩინეთი როგორც წესი პროტოკოლური დიპლომატიური განცხადებით შემოიფარგლებოდა და მიჰყვებოდა ტენგ სიაოფინგის პოლიტიკურ ანდერძს "韬光养晦 tao guang yuan hui", რომელსაც დიდი ჩინურ-ქართული ელექტრონული ლექსიკონი შემდეგნაირად განმარტავს: "*სინათლეს ემალება და სიბნელეში ძლიერდება - გადატ. (ხელსაყრელი დროის, მარჯვე შემთხვევის, საშური მომენტის მოლოდინში) საკუთარი შესაძლებლობების დაფარვა, საკუთარი სიძლიერის არწარმოჩენა, ჩრდილში ყოფნა; ◊ ჩუმად თავის დროს ელის; ჩრდილში დგას და ჩუმად ძლიერდება; ... გმირი უნდა იყვე და ჯაბანივით დადიოდე, ოსტატი უნდა იყვე და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი ... (კონსტანტინე გამსახურდია, "დიდოსტატის მარჯვენა")* (chinese.ge, 2025). ზემოთ ხსენებული პარალელი ნათლად აჩვენებს თუ როგორ ცდილობდა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ჩინეთი დისტანცირებულიყო ისეთი გეოპოლიტიკური მოვლენებიდან, რომელიც მის ეკონომიკურ ტრანსფორმაციას ხელს შეუშლიდა და არ მოეხდინა რაიმე ფორმის ესკალაცია რეგიონალურ თუ გლობალურ აქტორებთან. ომის ხელოვნებიდან მოყვანილი რამდენიმე მაგალითი და მათი თანამედროვე პარალელების მოყვანა, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ჩინური კლასიკური სტრატეგიების უნივერსალურობას, რა თქმა უნდა, გარდა ზემოთ ხსენებული მაგალითებისა ეს თუ ის ხრიკი/რჩევა შეიძლება სხვა თანამედროვე მოვლენასაც შეიძლება შეესაბამებოდეს, ეს უკვე მკვლევრის ინტერპრეტაციასა და მოსაზრებებზეა დამოკიდებული.

36 ხრიკი 三十六计 san shi liu ji- კიდევ ერთი ცნობილი ჩინური კლასიკური სტრატეგიების კრებულია, რომლის შექმნის ზუსტი თარიღი ისტორიოგრაფიაში დღესაც საკამათოა, თუმცა მისი საბოლო კომპილაცია მინგის ან ცინგის დინასტიის პერიოდში უნდა მომხდარიყო, როდესაც გაერთიანდა 1500-2000 წლის განმავლობაში არსებული სხვადასხვა ხრიკები და რჩევები (Zhou, 2015). სტატიაში ძირითადად გამოყენებულია მალხაზ უთურაშვილის მიერ ქართულად ნათარგმნი ტექსტი „36 ხრიკი, სამ-

ხედრო ხელოვნების საიდუმლო წიგნი", რომელიც გამომცემლობა მერიდიანმა გამოსცა 2019 წელს.

სტატიაში ოცდათექვსმეტი ხრიკიდან რამდენიმე ხრიკია გაანალიზებული იმავსე პრინციპით, როგორც ომის ხელოვნების შერჩეული სტრატაგემები. მაგალითად, მესამე სტრატაგემა "借刀杀人[81]-სხვისი ხელით ნარის გლეჯა საკმაოდ კარგად ესადაგება ცივი ომის მეორე ნახევარში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდ სტრატეგიას, რომლის მიხედვითაც ის გახსნილობის რეფორმის შემდგომ ცდილობდა არ ჩარეულიყო გეოპოლიტიკურ რბოლაში, ნაკლებად შედიოდა კონფრონტაციაში გარე აქტორებთან (გამონაკლისია კონფლიქტი ვიეტნამთან) პეკინი ცდილობდა მოეგო დრო და განევითარებინა საკუთარი ინდუსტრია. სსრკ-სთან კონფრონტანცია მან შეერთებულ შტატებს დაუთმო, ხოლო მთელი 13 წელი თავად მშვიდად ახდენდა იმდროინდელ გლობალურ სივრცეში კონკურენციას. მოგვიანებით, მაშინ როდესაც სსრკ, შემდგომში რუსეთი, ერაყი, იუგოსლავია, ავღანეთი იყო წინა პლანზე, ჩინეთი საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას ახდენდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვითა და შიდა ტრანსოფრმაციაზე ფოკუსირებით (ჩიხლაძე, 2025:250) ის არ იყო აღქმული გეოპოლიტიკურ საფრთხედ, სხვა თანადროული საფრთხეების მომეტების გამო, ამას ემატებოდა პეკინის ინერტული პროფილი საგარეო პოლიტიკის მხრივ რაზეც ომის ხელოვნების განხილვისას აღინიშნა.

მეხუთე სტრატაგემა -趁火打劫[82]-ცეცხლის დროს ძარცვა (სხვისი გაჭირვებით ხელის მოთბობა)-გლობალური პანდემიის დროს ფაქტობრივად არ დარჩენილა არც ერთი დიდი თუ პატარა სახელმწიფო, რომელსაც ფინანსური ან ლოჯისტიკური პრობლემა არ ჰქონია, ბუნებრივია მათ რიგებში ჩინეთიც იყო, თუმცა ფაქტობრივად ეგზისტენციალური საფრთხე დაუდგა H&M, ZARA-ს, შეკვეთები გვიანდებოდა, ფასები იზრდებოდა და მომხარებელი უკმაყოფილიყო იყო, სწორედ მაშინ გამოიყენა SHEIN-

[81] ფინინით: jie dao sha ren -პირდაპირი თარგმანი :ითხოვო დანა სხვის მოსაკლავად
[82] Chen huo da jie ცეცხლის დროს სახლის ძარცვა

მა სამხრეთ ჩინეთის ქალაქ გუანჭოუს პორტში არსებული გამ-
ართული მიწოდების ჯაჭვი, საკუთარი ტექნოლოგიური პარკ-
ითა და ინტეგრირებული საწარმოო შესაძლებლობებით, რომე-
ლშიც გაერთიანებული იყო ჩინეთის ტერიტორიაზე არსებული
6000-მდე ფაბრიკა-ქარხანა (Sabio, 2024). ეფექტურმა მენეჯმენტმა
იმ დროს როდესაც მთელი მსოფლიო კარანტინის პირობებში
ცხოვრობდა მიწოდების ჯაჭვი ფაქტობრივად გამართულად არ
მუშაობდა, შეინის ინოვაციური მიდგომებით მისი გაყიდვები
ისტორიულ მაქსიმუმში ავიდა. (Zhang et all., 2023).

მერვე სტრატაგემაა 暗度陈仓[83]-an du chen cang-ერთ რაღ-
აცას ამოფარებული, მეორე რაღაცის კეთება (ფარული გამოსვლა
ჩენ ცანგიდან)-აღნიშნული სტრატეგემა ხაზს უსვამს შეფარულ
ქმედებას, სხვა ღია ქმედების პარალელურად. ხსენებულ ხრიკზე
საუბრისას ჩნდება ასოციაციური კავშირი ჩრდილოეთ კორეის
შემთხვევაზე-ჩინეთის ჩრდილოეთ კორეის ყველაზე ახლო
პარტნიორია, ის ცალი ხელით ეხმარება კორეას ვაჭრობაში და
ტექნოლოგიებში, მეორე ხელით კონსტრუქციული აქტორია
კორეის ბირთვულ საკითხზე მოლაპარაკებებში და ზოგჯერ სანქ-
ციებსაც კი უწესებს მას. იყენებს რა ჩრდილოეთ კორეის მილ-
იტარისტულ პოლიტიკას, პოზიციონირებს როგორც პროგნოზ-
ირებადი აქტორი, ამავდროულად იტოვებს კორეის რეჟიმს
ბუფერად მასსა და ამერიკულ ბაზებს შორის, რომელიც სამხრეთ
კორეაში არის განლაგებული (fong, 2024).

მეცხრე სტრატეგემა 隔岸观火[84]-მოპირდაპირე ნაპირიდან
ცეცხლზე თვალთვალი იდენტურია როგორც 坐山观虎斗[85] -
მთაზე წამომჯდარი უცქერდე ვეფხვების (მოწინააღმდეგეების
ბრძოლას) - აღნიშნული სტრატეგია დომინირებს ჩინეთის საგა-
რეო პოლიტიკაში ბოლო 45 წლის განმავლობაში, ის ფაქტობრ-
ივად არ ერევა არც ერთ გლობალურ კონფლიქტში, მხოლოდ
კონფლიქტის ბოლო ფაზაში გამოჩნდება მედიატორის (ირან-

[83] An duo chen cang ფარულად გამოსვლა ქალაქ ცანგიდან
[84] Ge an guan huo
[85] Zuo shan guang hu dou

საუდის არაბეთის შემთხვევა) ან ნაწილობრივი ნეიტრალურობით შემოიფარგლება (ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამა).

სამხედრო ხელოვნების საიდუმლო წიგნის მე-14 სტრატეგემა; 借尸还魂[86] ითხოვო გვამი სულის დასაბრუნებლად, ძველი იდეის/პროცესის ახლებურად გამოყენება /ინტერპრეტაციას გვასწავლის, რომელის თანამედროვე და უზუსტესი შესატყვისი სარტყელი და გზა ინიციატივაა, რომელიც თავის მხრივ უძველესი აბრეშუმის გზის მოდერნული და ახლებური გააზრებაა. სარტყელისა და გზის ინიციატივა გახდა 21-ე საუკუნეში ჩინეთის დიდი სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ხაზია, მთელი მისი ჩანართებით, ამასთან ინიციატივის პირველ ეტაპზე ძველი აბრეშუმის გზის ახლებური გაცოცხლების იდეა აშკარად გლობალური ინიციატივით სარგებლობდა საერთაშორისო დონეზე (Feng, 2015).

36 ხრიკის მე-17 სტრატეგმა 抛砖引[87]- აგურის გასროლით ნეფრიტის დაუფლება, იგივეა რაც მცირე ქმედებით დიდ შედეგზე გასვლა ამ სტრატაგემას შეგვიძლია შევუსაბამოდ ჩინეთის ანტი-კოლონიური და სპეციალური სტრატეგია განვითარებადი (ე.წ მესამე მსოფლიოს) ქვეყნების მიმართ, როდესაც ის გამოდიოდა თანასწორობის, ანტი-კოლონიური მიდგომით, მხარს უჭერდა მათ საერთაშორისო დონეზე და ვერბალურად აპროტესტებდა მათ „ჩაგვრას" საერთაშორისო არენაზე (Shinn, 2019:62). გრძელვადიანი პოლიტიკის შედეგად, დღესდღეობით ჩინეთი ერთ-ერთი ყველაზე მიღებული პარტნიორია აფრიკის კონტინენტზე, საიდანაც მოიპოვებს ამა თუ იმ მინერალურ რესურსებსა და ნედლეულს (Afripoli, 2023) ამავდროულად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მუდმივად იღებს მხარდაჭერას ზემოთ ხსენებული ქვეყნებიდან.

გასული საუკუნის 60-იან წლებში 23-ე სტრატაგემის გამოყენების ფაქტობრივად დადასტურებული ისტორიული შემთხ-

[86] Jie shi huan hun

[87] Pao zhuan yin yu

ვევა გვაქვს, როდესაც გეოპოლიტიკური ალყის გაღვევა მაო ძედ-უნმა ზუსტად იდენტური ხედვით მოახერხა. სტრატეგმა გვას-წავლის 远交近攻[88] -ემეგობრე შორეულს, ებრძოლე ახლოში მყოფს, რაც ერთი-ერთში ესადაგება ჩინეთის ამერიკასთან დაა-ხლოების პოლიტიკას, მაში როდესაც პეკინს ინდოეთთანაც და საბჭოთა კავშირთანაც საკმაოდ დაძაბული და რთული ურთი-ერთობა ჰქონდა (Kissinger, 2011).

六韬-liu tao ექვსი საიდუმლო სტრატეგიული სწავლება, რომლის ავტორი ძიანგ წიიაა რჩევებს იძლევა არამხოლოდ სამხ-ედრო მიმართულებით, არამედ ის აანალიზებს სამოქალაქო (სამ-ოხელეო) საქმეებსაც და მის პრაქტიკულ მაგალითებსაც. გამო-მდინარე იქედან რომ აღნიშული ტექსტი ქართულად ჯერ-ჯერობით არ არის თარგმნილი, სტატიაში გამოყენებულია შაუნ კორნერსის მიერ რედაქტირებული და ჩენგ სუნგის მიერ თარ-გმნილ-ადაპტირებული (თანამედროვე ჩინური-ინგლისური) ტექსტის ნიმუშები (Conners, 2013).

"文韬" (სამოქალაქო "თაო"- სტრატეგია) გამოხატავს ჩინ-ური პოლიტიკური ფილოსოფიის ძირითად პრინციპებს, რომლ-ებიც ხაზს უსვამენ მორალურ ლიდერობას, მერიტოკრატიულ მიდგომას და სახალხო კეთილდღეობას. იდეალური მმართველი უნდა გამოირჩეოდეს ეთიკური საქციელით, რათა მოიპოვოს საზოგადოების ნდობა, ხოლო თანამდებობები უნდა უკავდებო-დეს ნიჭიერებს, არა მხოლოდ წარჩინებულთა წრის წარმომადგ-ენლებს. ამასთან, მმართველმა უნდა აერთიანოს სამოქალაქო და სამხედრო ხელმძღვანელობის უნარები, რადგან სახელმწიფოს სტაბილურობა დამოკიდებულია ორივე სფეროს ჰარმონიულ ფუნქციონირებაზე. ყველაფერი ეს კი ემსახურება მთავარ მიზანს – ხალხის კეთილდღეობას, რადგან სწორედ მოსახლეობა არის სახელმწიფოს ფუნდამენტი, ხოლო მისი ეკონომიკური გადატ-ვირთვა (მაგ., ზედმეტი გადასახადები) საფრთხეს უქმნის მთელ სისტემას. ეს პოსტულატები, რომლებიც აერთიანებს კონფუცია-ნურ და ლეგისტურ იდეებს, ჩინური სახელმწიფოებრიობის

[88] Yuan jiao jing gong

თვალსაზრისით კლასიკურ მმართველობით მოდელს წარმოადგენს (Conners, 2013:23).

"武韬" (Wu Tao) წარმოადგენს ომის სტრატეგიის თავს იმავე ნაშრომში, რომელიც უკავშირდება არა მხოლოდ სამხედრო ტაქტიკას, არამედ მმართველის მორალურ და სტრატეგიულ კომპეტენციას. იდეალური სარდალი უნდა გააერთიანოს სიმამაცე, ეთიკური პრინციპები და ღრმა აღქმა კონფლიქტების ბუნებისა. ომის წარმატება პირდაპირ კავშირშია საზოგადოების მხარდაჭერასთან – ხალხის ნდობის გარეშე ნებისმიერი კამპანია რისკავს წინააღმდეგობებს ან დაშლას (Conners, 2013:49) აქედან გამომდინარე, ომი უნდა იყოს მორალურად გამართლებული და წამოწყებული მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში (Liu, 2012) Wu Tao ხაზს უსვამს არაპირდაპირ მეთოდებს:

აგენტურული ქსელების გამოყენება მტრის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად;

ფსიქოლოგიურ ომს, რომელიც არღვევს მოწინააღმდეგის სულიერებას;

არასამხედრო ინსტრუმენტების (ეკონომიკური, დიპლომატიური) ინტეგრაციას სტრატეგიაში.

ეს პრინციპები, რომლებიც ასახავს ძველი ჩინური ტრაქტატების (მაგ., „სამხედრო ხელოვნების" 孙子兵法) იდეებს, დღესაც აქტუალურია როგორც ტრადიციული, ისე ასიმეტრიული ომების კონტექსტში.

龙韬 (დრაკონის სტრატეგია) – მოქნილობა და ადაპტაცია

დრაკონის სტრატეგია ხაზს უსვამს გარემო პირობების ჭკვიანურ გამოყენებას და ტაქტიკურ მანევრირებას. ის არ ეყრდნობა უხეშ ძალას, არამედ მოითხოვს მოქნილობას, მოულოდნელობას და კრეატიულობას ბრძოლის ველზე. აქ მნიშვნელოვანია მტრის სისუსტეების გამოყენება, რაც მოიცავს ფსიქოლოგიურ ომს, დეზინფორმაციას და დინამიკურ დაგეგმარებას. (Conners, 2013:64).

虎韬 (ვეფხვის სტრატეგია) – აგრესიული შეტევა

ვეფხვის სტრატეგია წარმოადგენს პირდაპირ და დამანგრ-ეველ ტაქტიკას, რომელიც ეფუძნება სწრაფ, დამაკნინებელ შეტ-ევებს. ეს მიდგომა აქტუალურია მაშინ, როდესაც საჭიროა მტრის რესურსების ან მორალის სწრაფი დასუსტება. თუმცა, ის მოი-თხოვს ძლიერ რესურსებს და რისკიანია, თუ არ არის სათანა-დოდ მომზადებული. (Conners, 2013:116).

豹韬 (ლეოპარდის სტრატეგია) – სისწრაფე და მანიპულაცია

ლეოპარდის სტრატეგია, ვეფხვისგან განსხვავებით, არ ეყრ-დნობა უხეშ ძალას, არამედ სისწრაფეს, მოტყუებასა და არაპი-რდაპირ მეთოდებს. ის იდეალურია სუსტი, მაგრამ მოქნილი ძალებისთვის, რომლებიც უნდა იბრძოლონ უფრო დიდი მტრის წინააღმდეგ. მისი ძირითადი ინსტრუმენტებია:

ალიანსების ფორმირება

მტრებს შორის დაპირისპირების გამოწვევა

ფსიქოლოგიური ზეწოლა (ჭორები, დეზინფორმაცია (Conners, 2013:119)

犬韬 (ძაღლის სტრატეგია) – შიდა სტაბილურობა და ლოიალურობა

ძაღლის სტრატეგია არ ეხება პირდაპირ ომს, არამედ შიდა მმა-რთველობასა და საზოგადოებრივ წესრიგს. ის ხაზს უსვამს: იერ-არქიისა და დისციპლინის მნიშვნელობას, ასევე მოსახლეობის ლოიალურობის შენარჩუნებას და ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებას (Conners, 2013:126).

ბოლო კლასიკური ჩინური სტრატეგია, რომელსაც სტატ-იაში მიმოვიხილავთ სიმა ჟანგძუს კლასიკური ტრაქტატია "司马法". დარად ძიანგ წიიას ნაშრომისა, სიმას მეთოდებიც არ არის ქართულად ნათარგმნი, შესაბამისად ამ შემთხვევაშიც ვიყენებთ შუან კორნესის მიერ რედაქტირებულ და ჩენგ სუნგის მიერ ნათ-არგმნ ანთოლოგიას ჩინური კლასიკური სტრატეგიების შესახებ. ხსენებული ტექსტი წარმოადგენს სამხედრო, პოლიტიკური და სამართლებრივი სიბრძნის ნაირსახეობიან სინთეზს, სადაც ძირ-ითადი აქცენტი კეთდება სისტემატურობასა და სტრატეგიულ მოქნილობაზე. ეს ტექსტი აერთიანებს ორ ფუნდამენტურ პრინ-

ციპს: მკაცრ დისციპლინას, როგორც ძალაუფლების საფუძველს, და კრეატიულ ადაპტაციას, როგორც გამარჯვების ინსტრუმენტს.

ხედვები მოიცავს სამხედრო-პოლიტიკურ რჩევათა ფართო სპექტრს, მათ შორისაა ორგანიზაციული სრულყოფილობის მოთხოვნები და ფსიქოლოგიურ ომის ზოგადი ასპექტებიც კი. კერძოდ, სიმას მიხედვით ჯარი უნდა იყოს მკაცრად დისციპლინირებული და იერარქიულად სტრუქტურირებული, სადაც ყველა ელემენტი მოქმედებს ერთიანი მექანიზმის ნაწილივით. თუმცა, ნამდვილი ხელოვნება იწყება ომამდე - მტრის დეზორიენტაციით, მისი რესურსების შეფერხებით და მორალის დასუსტებით. ამასთან, სტრატეგია არ უნდა იყოს დოგმატური: წარმატებული მმართველი იყენებს გარემო პირობებს, მაგრამ არ ეყრდნობა მხოლოდ მათ.

პოლიტიკურ დონეზე სიმა ჟანგძუ ხაზს უსვამს ერთიანობას და ლოიალურობას, რომლებიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლებრივი სამართლიანობითა და ჯილდოების გამჭვირვალე სისტემით. ამასთან, ის განიხილავს ალიანსებს, როგორც „ძალის დროებით სესხებას" (接力) - მათი გამოყენება კრიტიკულია მტრის იზოლირებისთვის ან რესურსების მობილიზებისთვის, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში მასზე დამოკიდებულება წარმოადგენს სისუსტეს (Corners, 2013:226). სწორედ ამ კონტექტსში შეგვიძლია დავაკავშიროთ ჩინეთის დამოკიდებულება ფორმალური ალიანსების მიმართ, როდესაც ის ეწინააღმდეგება სამხედრო ალიანსებს მსოფლიო პოლიტიკაში და მას დესტაბილიზაციის საფრთხედ მიიჩნევს (Jevans, 2024).

თანამედროვე კონტექსტში სიმას მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სამხედრო სტრატეგიაში, ასევე კორპორატიულ მენეჯმენტსა და პოლიტიკურ ანალიზში. მისი ძირითადი გაგება მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერი ორგანიზებული სისტემის წარმატება დამოკიდებულია:
სტანდარტიზებულ პროცედურებზე (დისციპლინა),
რესურსების მოქნილ მართვაზე (ადაპტაცია),
ფსიქოლოგიურ უპირატესობაზე (დეზორიენტაცია),

დროებითი ალიანსების სტრატეგიულ გამოყენებაზე.

ეს პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბდა ძვ. წ. IV საუკუნეში, დღესაც აქტუალური რჩება რთული და დინამიური გარემოსთან შესაბამისობისთვის.

დასკვნა

ჩინური კლასიკური სტრატეგიები კაცობრიობის ლიტერატურულ და ფილოსოფიურ საგანძურს წარმომადგენენ. სტატიაში განხილული 4 ტექსტი სხვადასხვა ეპოქას ეკუთვნის, უძველესი იწყება ძვ.წ მეცხრე საუკუნეში და უახლესი როგორც მინიმუმ რამდენიმე ასეულ წელს უნდა მოითვლიდეს. გარდა იმ უზარმაზარი ფილოსოფიური მიგნებებისა, რაც საუკუნეების განმავლობაში იყო როგორც ჩინელი ასევე დასავლელი მხედართმთავრების ერთ-ერთი მთავარი მრჩეველი სამხედრო-პოლიტიკური საქმის წარმოებისა, ჩინური სამხედრო სტრატეგიები ხასიათდება შინაარსობრივი უნივერსალიზმით-რჩევათა ის ფართო სპექტრი რაც კვლევის პროცესში გაანალიზდა სცდება დროსა და სამხედრო დარგის ვიწრო სპეციფიკას. ის შეიძლება გამოიყენოს როგორც 21-ე საუკუნის პოლიტიკოსმა, ასევე ბიზნესისა თუ ორგანიზაციის მმართველმა-სტატიაში განხილული მაგალითი (რომლის ინტერპრეტაცია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს და არ შემოიფარგლება ამ კონკრეტული შემთხვევებით) ან ყველაფრის უპირველესი დამადასტურებელია. ჩინური კლასიკური სამხედრო სტრატეგიები არ არის ჯეროვნად შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიასა და სინოლოგიაში, ვიმედოვნებ რომ აღნიშნული სტატია კიდევ უფრო მეტ მკვლევარს შეაგულიანებს, სხვადასხვა რა კურსით გაანალიზოს იდენტური ან დარჩენილი ტექსტები და გაამდიდროს ქართული სტრატეგიული ხედვა მიმდინარე პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ საკითხებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

Accelingo. (n.d.). **Xiaomi's global strategy**. https://www.accelingo.com/xiaomis-global-strategy/

Afripoli. (2023). **China's role in Africa's critical minerals landscape: Challenges and key opportunities**. https://afripoli.org/chinas-role-in-africas-critical-minerals-landscape-challenges-and-key-opportunities

Berge, J. V. (2021). "Hide your strength, bide your time"? An analysis of Chinese nuclear posture, technological development, and the Sino-U.S. deterrence relationship. **University of Oslo**.

CGTN. (2019, December 21). **China's meritocracy: Selection and election of officials**. https://news.cgtn.com/news/2019-12-21/China-s-meritocracy-Selection-and-election-of-officials--MA53VFP8t2/index.html

Conners, S. (Ed.). (2013). **Military strategy classics of ancient China: English & Chinese: The Art of War, Methods of War, 36 Stratagems & selected teachings** (C. Song, Trans.).

Feng, B. (2015). **"一带一路": 全球发展的中国逻辑 [The Belt and Road: The Chinese Logic of Global Development]**. 中国民主法制出版社 [China Democracy and Legal System Publishing House].

Fong, C. (2024, November 21). **The China-North Korea relationship**. **Council on Foreign Relations**. https://www.cfr.org/backgrounder/china-north-korea-relationship

Karimi, K., & Fox, R. L. (2023). Scrolling, simping, and mobilizing: TikTok's influence over Generation Z's political behavior. **The Journal of Social Media in Society, 12**(1), 181–208. https://thejsms.org

Karve International. (2024). **The impact of China's rare earth supply chain monopoly on national security**. **Karve International**.

Kissinger, H. A. (2011). **On China**. Penguin Press.

Lin, H. (2022). The strategy for Huawei going global: Huawei's initial market strategy for entering the European market. **Advances in**

Economics, Business and Management Research, 215, 353–358. Atlantis Press.

Liu, X. (2024). Lessons in the dragon's lair: The People's Liberation Army's professional military education. **Journal of Indo-Pacific Affairs**. https://www.airuniversity.af.edu/JIPA/Display/Article/3540678/lessons-in-the-dragons-lair-the-peoples-liberation-armys-professional-military/

Livemint. (2024, January 10). Donald Trump's obsession with rare earth elements, explained: What are they and what they mean for US economy. https://www.livemint.com/news/us-news/ donald-trump-s-obsession-with-rare-earth-elements-explained-what-are-they-and-what-they-mean-for-us-economy-11740902504810.html

Mahadzir, D. (2025, April 2). Chinese military wraps intimidation drills off Taiwan. **USNI News**. https://news.usni.org/ 2025/04/02/chinese-military-wraps-intimidation-drills-off-taiwan

Purbrick, M. (2023, April 12). United Front work and beyond: How the Chinese Communist Party penetrates the United States and Western societies. **The Jamestown Foundation**. https://jamestown.org/program/united-front-work-and-beyond-how-the-chinese-communist-party-penetrates-the-united-states-and-western-societies/

Reuters. (2025, May 1). Romanian voters again turn to TikTok for guidance in rerun of annulled election. https://www.reuters.com/world/europe/romanian-voters-again-turn-tiktok-guidance-rerun-annulled-election-2025-05-01/

Sawyer, R. D. (Trans.). (1993). **The seven military classics of ancient China**. Basic Books.

Sabio, C. J. (2024). Cross-border e-commerce revolution: Analyzing Shein's supply chain advantage. In **Proceedings of the 5th Asia Pacific Conference on Industrial Engineering and Operations Management** (pp. [insert page numbers if available]). **IEOM Society International**. https://doi.org/10.46254/AP05.20240055

Shinn, D. H. (2019). China–Africa ties in historical context. In A. Oqubay & J. Y. Lin (Eds.), **China-Africa and an economic transformation** (Chap. 4). Oxford Academic. https://doi.org/10.1093/oso/9780198830504.003.0004

State Council of the People's Republic of China. (2021, December 15). [Xi Jinping: Deeply implement the strategy of strengthening the country through talent in the new era and accelerate the construction of an important talent center and innovation highland in the world] [中国国务院新闻]. http://www.gov.cn/xinwen/2021-12/15/content_5660938.htm

Wei, X., Liu, R., Liu, Y., He, J., Chen, J., Qi, L., Zhou, Y., Qin, Y., Wu, C., Dong, J., Xiao, X., Chen, J., & Ge, Q. (2024). Forest areas in China are recovering since the 21st century. **Geophysical Research Letters, 51**(22), e2024GL110312. https://doi.org/10.1029/2024GL110312

Wu, R. (1996). **Rou Wu Lu: Zhongguo Gudian Zhanlue Zhiyao [On 'Soft Combat': The Quintessence of Classical Chinese Strategy]**. **Zhongguo Junshi Kexue, (1)**, 111–128.

Xinhua News Agency. (2019, January 2). **Speech at the meeting marking the 40th anniversary of the issuance of the message to compatriots in Taiwan** [Xi, J.]. https://interpret.csis.org/tra nslations/speech-at-the-meeting-marking-the-40th-anniversary-of-the-issuance-of-the-message-to-compatriots-in-taiwan/

Zhang, D., Zhang, X., & Zou, Y. (2023). Analysis on SHEIN's overseas success during COVID-19 from the perspective of supply chain management. In **Proceedings of the 7th International Conf erence on Economic Management and Green Development**. https://www.Researchgate.net/publication/375551498Analysis_on_SHEIN's_Overseas_Success_During_COVID-19_from_the_Perspective_of_Supply_Chain_Management

Zhang, S. (2004). **Economic reforms and development strategies in China: A historical perspective**. China Social Sciences Press.

Zou, J. (2015). **Cong junshi dao zhian: Sanshiliu ji [从军事到治安: 三十六计; From military to public security: The thirty-six stratagems]**. Central Police University Press.

Liu, X. (2012, February 9). The Art of War and China's foreign and defense policies [Speech transcript]. Embassy of the People's Republic of China in the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland. http://gb.china-embassy.gov.cn/dshd/2012/201 202/t201 202113378816.htm

Nyabiage, Jevans. "How the Non-Aligned Movement Fits China's Global Geopolitical Ambitions." South China Morning Post, January 20, 2024.https://www.scmp.com/news/china/diplomacy/article/3249189/how-non-aligned-movement-fits-chinas-global-geopolitical-ambitions.

სვენ ძი. (2023). **სამხედრო ხელოვნების შესახებ** (ზ. მამნიაშვილი, Trans.). საგა.

უთურაშვილი, მ. (თარგმ.). (2019). 36 ხრიკი, სამხედრო ხელოვნების საიდუმლო წიგნი. მერიდიანი.

სუნ ძი. (2019). ომის ხელოვნება (ი. აბულაშვილი, თარგმ.). წიგნები ბათუმში. (თავდაპირველი ნაშრომი გამოქვეყნებული ძვ. წ. V საუკუნეში).

ჩიხლაძე, შ. (2025). ჩინეთის ეკონომიკა წარსულსა და თანამედროვეობაში. ნ. გელაშვილის (რედ.), **ჩინეთმცოდნეობის საფუძვლები** (გვ. 250). ქარჩხაძის გამომცემლობა.